

1955

**№
1-2**



თქმობები

ოქტომბერი

№ 1—2

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების
სახალხო კომისარიატის უფროსი მცირეწლოვან ბავშვთათვის.

იანვარი-თებერვალი 1935 წელი

მისამართი: ტფილისი, კიროვის ქუჩა № 7

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ძია ლენინი (ლექსი) გიორგი კაჭახიძისა	1
2. თებერვალი (მოთხზ.) დავით შამათავასი	2
3. თბილ ბუხართან (ლექსი) ავთ. ნიორაძისა	4
4. ყანჩების ოჯახი (მოთხზ.) ბორის ჩხეიძისა	5
5. წაბლას ხმო (ლექსი) ნ. შველიძისა	9
6. კატამ პირი დაიბანა (მოთხზ.) ლ. კიკინაძისა	10
7. ფისოს პასუხი შიას (ლექსი) ი. სიხარულიძისა	12
8. ვეფხო წალვერში (მოთხზ.) ლ. გეგეჭკორისა	13
9. ეირიკას ჩივილი (მოთხზ.) ნ. ტყეშელაშვილისა	16
10. ირმა (ლექსი) შ. ამისულაშვილისა	19
11. ძია შიოს ხსოვნას (წერილი) ტატიანასი	20
12. ქურდი ფისო (მოთხზ.) თ. ოყრეშიძისა	21
13. ქეთლს ოინები (მოთხზ.) მამია გიგაურისა	26
14. მშვიერი და მძღარი (არაკი) გ. ლომთათიძისა	29
15. მძინარა კურდღელი ბოსტანში — კ. დევდარიანისა	30
16. ბიბლიოგრაფია	30
17. გასართობები	
18. უღის მხატვრობა შესრულებულია მხატვ. აღ. გიგოლაშვილის მიერ	
19. ტურნ. ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვ. ირ. გეკნერს.	

პ/რედაქტორი — გიორგი კაჭახიძე
პ/მდივანი — სანდრო შლანტი

ძია ლენინი



არ გვინახავს... არ გვსმენია
 მისი მკვეთრი, ბრძნული სიტყვა;
 აღრე მოკვდა, მაგრამ გულით
 დიდი ძია მაინც გვიყვარს.
 ძლიერ გვიყვარს ჩვენთან მყოფი
 მისი აზრი, მისი საქმე.
 დაზგებთან თუ ოჯახებში
 ძია ლენინს ყველა აქებს.
 იგი ამ დიდ ქვეყანაზე
 დიდი იყო დიდთა შორის,
 დაზგრულთა მოამაგე
 და ამტანი მძიმე შრომის.
 მტრებს გამირაედა, ჰქონდა რიზი,
 არ უშვებდა გულში სევდას.
 გმირი იყო, და ეს კაცი
 ბავშვებს ძლიერ აფასებდა:
 წიგნს უწერდა... უკეთებდა
 სათამაშო გემს თუ ურმებს...

და სიკვდილის წინაღულესაც
 ერთობოდა მათთან, თურმე.
 ბატარებთან მოსაუბრეს
 უბრწყინაედა მუდამ სახე,
 ნათელი და მკვეთრი აზრი
 ბევრი უთქვამს მათ შესახებ.
 სად არ იყო! ყველგან ქუბდა,
 არ იცოდა დროშის დახრა...
 ეს მძლავრი და კარგი ძია
 აღარ არის ქვეყნად ახლა.
 ნეტავ მაინც, ერთხელ მაინც
 დაგვენახა სახე მისი,
 ტრიბუნაზე გამოჩენა
 ან ქუჩაში გავლა დღისით!
 არ გვინახავს... არ გვსმენია
 მისი მკვეთრი, ბრძნული სიტყვა;
 აღრე მოკვდა, მაგრამ გულით
 დიდი ძია მაინც გვიყვარს.

გიორგი კაჭახიძე.



1754.



თეგერპალი



ერთი კვირის წინათ დააბატომრეს მამა. იმ დღეს ჩვენსას სამი კაცი მოვიდა. ერთი მაღალი იყო, გამხდარი, მხარბეჭებში ფართო და ტანწერ-წეტა. ვალიფე შარვალი, უძიროები და ოსური შალის ხალათი ეცვა, წელზე მაუზერი ეციდა, ორი ჯარისკაცი კი მის ბრძანებას ასრულებდა. მამა სრულიად არ ჯავრობდა, მაშინაც კი, როცა მაღალმა კაცმა წიხლი ჩაართვა და სახეაპილილებულმა დაუყვირა.

— ეგებატონო, განავრძე ბოლშევიკური პროპაგანდა!

მე ძალზე შეშინოდა, ტირილს კი მაინც ვერ ვებედავი. მამა რაც ქვეყანაზე კაცებია, ყველას მოერეოდა მეგონა, და მაღალმა გამხდარმა კაცმა კი ასე დაიჯაბნა.

დედას კრემლები აღრჩობდა. ბინა მთლად აფორიაქეს ჯარისკაცებმა. იმ კაცმა მამას საწოლთან უცნობის სურათი აღმოაჩინა, რომელსაც მამა ლენინს ეძახდა, გაჯავრებულმა ის დახია და იატაკზე მოაბნია.

ძალზე მაკვირებდა ეს სურათი, იქედან მუდამ გალიმებული კეთილი კაცი გამოიყურებოდა. მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვებედავი ჩემი დის ლეილასა და ამ კაცის სახელებს შუა, ეს კი მფიქრებდა, კაცი რად ეტარებდა ქალის სახელს!

დედას ხეწნა-მუდარამ არ გაჭრა, მამა წაიყვანეს და ჩვენი პატარა ქალაქის ბოლოს რომ აგურის შენობა და ციხეა, იქ ჩასვიეს...

მე ყოველდღე სადილობისას მილაგებდა დედა ჯამჭურჭლით სადილს კალათაში და მამასთან მატანდა. ძალიან მიხაროდა იქ მისვლა. იქ შეიარაღებული კაცები იყვნენ, მაგრამ მე როდი მეშინოდა. თოფიანი კაცი კალათას ჩამომართმევდა, შემდეგ ბოქლომს აჩხაკუნებდა, მძიმედ ახმაურდებოდა რკინის კარები, და მამას სადილს ვადასცემდნე. ხშირად მამას რკინისჩარჩოიან პატარა ფანჯარაში მოგვრავდი თვალი...

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დამითხოვეს, მასწავლებელმა გამოგვიცხადა, რომ ყველას თითო ბათიანი სიმინდი უნდა მიგვეტანა სკოლაში, მაშინ, თურმე, მენშევიკების ჯარი იბრძოდა, ჯარს სურსათი სჭირდებოდა. დედას სიმინდი არ ჰქონდა, მე კი მასწავლებელმა სკოლაში არ გამაჩერა.



იმ ღამეს თოვა დაეწყო. დილაზე ჩვენსას დიხამინჯიას შვილი გოგი მოვიდა, ახლა რომ ინეენერია. დედას მამაჩემის ამბავი ჰკითხა და მორიდებით დაიწყო:

— ბიცოლა მარო, ლუკას რევოლვერი უნდა მათხოვო, შენ იცი სად აქვს ვადაშალოლი, თავსავით მოვეუვლი და ციხიდან მის გამოსვლამდე ჩაგაბარებ.

კარგად მახსოვს, დედას არაფერი არ უთქვამს, ლოკინი აანგრია, ლეიბის ქვეშ ამოდებული კრიალა რევოლვერი გამოიღო და გოგის მისცა.

— ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას დაეამყარებთ, ლუკაც განთავისუფლდება, ბიცოლა!— წამოიძახა სიხარულით გოგინ და კარს მიეფარა.

იმ დღეს საღამომდე შეუსვენებლივ თოვდა. ის ღამეც თითქმის ჩვეულებრივი იყო. კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა, თითქო ახალ წელს ხედებთან და თოფებს ისვრიანო. ჩვენსას იმ ღამეს დედას გასამხიარულებლად მეზობლის ქალები ვადმოვიდენ, კერასთან მამლის ყვილის გახშირებამდე საუბრობდენ. სახლში ზოლაედა ქონის სანთელი. მე აღრე ჩამძინებოდა მათ საუბარში.

დილაზე მამა გაეთავისუფლებიათ. სიხარულით ცას ვეწიეთ. დედა თუმც არ იცინოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძლიერ გაბარებული იყო.

შუადღეზე, როცა მამამ ქალაქში წასვლა დააპირა, მეც გავეყვი. მამამ სწორედ იქ შებაიჯა გულიანად, სადაც ის კაცი მეგულეობდა, ჩვენსას რომ მოვიდა მამას დასაბატომრებლად. ის შენობა ჩვეულებრივად იდგა, მხოლოდ ზედ თუნუქის დიდი ფირფიტა შევამჩნიე, რომელზედაც ძლივს გავარჩიე წარწერა: „რ ე ვ კ მ ი“. შიგ რომ შევედი, კედელზე ის სურათი დავინახე, მაღალმა კაცმა რომ დახია იმ დღეს ჩვენსას... ის კაცი სურათიდან უფრო შესამჩნევად ილიმებოდა. მაგიდებთან სულ ჩვენები ისხდენ, ჩვენი მეზობლები, მამას ამბანაცები და ჩვენი მეზობლის ვოვიაც იქ გახლდათ! მაღალი კაცი კი არ ჩანდა...

იმ დღეებში ჩვენ პატარა ქალაქში ჯარისკაცები მოვიდენ და ბინა რევკომის შენობაში გაიჩინეს. მე მაკვირვებდა მათი უცნაური წოწოლა ქულები, მამა კი დღენიდავ მათთან იყო და ჩემთვის გაუგებარ ენაზე დიდხნის ნაცნობებივით საუბრობდენ, იცინოდენ და მღეროდენ...

მაშინ 1921 წელი იყო, თებერვალი, და მე სულ პატარა ბიჭი ვიყავი, ტანმორჩილი და თითისხელა.

საბჭოთა უფროსები

დავ. შამათავა



თბილ ბუხართან

ციდან ცეცხვით თოვლის ფიფქი,
ზამთრის სუსხი სახეს ყინავს...
და თოვლივით შებამული
ზის ბაბუა ბუხრის პირას.

ბუხარში ჯირკს ებრძვის ცეცხლი,
ცეცხლი ჯირკის გულში ღვივის...
აქვე ბები წინდებს ქსოვს და
უთამაშებს ტუჩზე ღიმი.

ხურმას შაშვი დასტრიალებს
ქაბუხით და ლალი ფრენით,
მირა გასქვრეტს ფანჯრებიდან
და ხალისით ფილთას ტენის.

მამა ვაზეთს ჩაკრკიტებს,
ისმენს ტკბილად ქვეყნის ამბავს,

ღეღა სახემოცინარი
თამროსათვის კერავს კაბას.

თამროც წყნარად მაგიდასთან
ზის, კითხულობს წიგნს გულდასმით,
მის ფეხებთან ლამაზ შვილებს
ფისო ენით თმას უვარცხნის.

უფროსი და საჭმიანობს —
ცხელ კეცებზე ჰადებს აკრავს
და ქოთანში მოჩუჩჩუხე
ლობიოსთვის საკაზმს ნაყავს.

გარეთ ისევ სუსხია და
ცა ძირს ისვრის თოვლის ფთილებს,
ჩვენ კი მალე თბილ ბუხართან
გავშლით სუფრას, ვისადილებთ...

ავთანდილ ნიორაძე



ყანჩების ოჯახი

1. ყანჩები და მელია

ბებერმა ყანჩამ შვილები დააფრინა. ერთი მათგანი ძალიან შორს გაფრინდა. მშობლები და დაძმანი სამუდამოდ დაკარგა. პირველ დღეს დაცილება იჯაერა, მეორე და მესამე დღეს კი აღარც ახსოვდა თავისიანები.

მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა ყანჩა საქმლის შოვნასა და თავის გამოკვებას შეუდგა. დაბურულ ტყის პირიდან მახლობელ მდორე მდინარის გარშემო გადაშლილ ტორფნალ ქაობში ჩაფრინდა. დათვალღერა. გაუხარდა: მშვენიერ ადგილს მიაგნო.

ქაობსა და გუბებში დახტოდენ და ბინადრობდენ ბაყაყები, ქაობის მატლები და კიბოები. ყანჩამ გუბებშიც დაზვერა და სიხარულით ცაში შეინაგარდა. გუბებში მან შენიშნა თევზები, რომელნიც დედამისს მოჰქონდა ხოლმე ბუდეში. როგორც საუკეთესო საშაპინძლო.

— ოხ! ნეტავი ჩამატყბარუნებია თქვენით პირი!—ინატრა ყანჩამ და მთელი დღე სდია. მაგრამ გუბის ბინადარი ქარიყლაპიები ადვილად უსლტებოდენ ნისკარტიდან. ქარიყლაპიები ხშირად ისე დაიქსაქსებოდენ და მიიმალებოდენ, რომ ყანჩას იმედი ეკარგებოდა კვლავ იმათი დანახვისა. ერთი თვე სდია ყანჩამ ასე თევზებს. გასაგადა, დაილალი, გახდა და მარტო ბუმბული და ძვლები-ღა დარჩა. შიმშილს თავკობალებით და ნორჩი ბაყაყებით იკლავდა.

ერთხელ ყანჩამ გადაწყვიტა უკანასკნელი იერიში მიეტანა ქარიყლაპიებზე. დიფიქრდა, ხერხს მიმართა.

ჯერ კარგახანს დაიმალა შამბებში. აქ კიდევაც დაისვენა. კარგახანი რომ გავიდა, ისევ აფრინდა. გუბის იმ ნაპირას ჩაფრინდა, სადაც ბევრი ქარიყლაპია ეგულუბოდა.

ყანჩას ყველაფერი ხელს უწყობს.

ისეთი ფერი აქვს, როგორც წვერგადაშხმარ ლაქაშებს. ტბის პირად ისე მოჩანს, თითქოს ყანჩა კი არა, რაღაც მცენარე იყოს, ან გაბურჯილი ლაქაშის თაველი.

თევზებს, ბაყაყებს, კიბოებს და თავკობალებს გონიათ, რომ ეს მათი საფარია და არა საშიშარი მტერი ყანჩა.

ყანჩასაც ეს უნდა.

აგერ თევზების გუნდი მოკურდა მის ფეხებთან. ცელკობენ, სრიალებენ და ყანჩას ფეხებს ეხებიან. ხედავს მათ ყანჩა და თვალში არ მოსდის: პატარები არიან, ერთ ყლაპზე, ერთ ლუკმაზე არ ეყოფა. ითმენს ყანჩა და ბოლოს მოთმინება ელევა.

ეს არის უნდა ჩაჭკრას ნისკარტი და სწორედ ამ დროს შენიშნა ერთი ვეებერთელა ქარიყლაპია. დამკრება, დამრწის ლაქაშებს შორის, თავის მოძმე პატარა თევზებს იჭერს და სანსლავს. იმოდენი იღორბუცელავა, რომ თერთრი მუცელი გაებერა. უჭირს ონაერობა, წამოწოლა სწადია. არხებინად მიდის და ყანჩას ფეხებთან წვება.

— შხაა!!

გაიშხილა ყანჩას წვეტიანმა ნისკარტმა წყალში, და ერთი წუთის შემდეგ ყაჩალი ქარიყლაპია უმწეოდ ფართხალებს ყანჩას ბასრ ნისკარტში.

ყანჩამ ის შორს, მშრალზე გაიტანა და შესანსლა.

— აწი გაგავლებთ მუსრს. ვისწავლე, როგორ უნდა მოგივლოთ ნისკარტში.— გაიფიქრა ყანჩამ და უფრო მოხერხებულ სანადიროზე გადაინაცვლა. როცა მიფრინავდა, კმაყოფილების გამოსახატავად, სამჯერ ყანჩურად შეჭყვირა და სადარაჯოზე დადგა.

ერთდღეს ყანჩამ ბევრი ინადირა, ძალზე გამოძლია და ლაქაშებსა და ქაობში უგზო-უკვლოდ დაფარფატებდა. არეშარეს თვალი მოავლო, შორს შენიშნა ნაძენარ-ფიჭვნარის ტყე. მოეწონა. მოინდომა იქით გაფრენა.

ამ დროს გაიგონა მეორე ყანჩას ყვირილი. გაახსენდა თავისიანები — დები, ძმები და მშობლები. მარტობა იგრძნო. ამიტომაც უცნობ ყანჩას ხმა მისცა. უცნობი ყანჩა მოფრინდა. იგი პატარა იყო და ბოლოც უფრო სწორი ჰქონდა, ნისკარტი და კლანჭები კი ყვითელის მაგიერ მოშავო.

ყანჩებმა სიხარულით ფრთები გაშალეს და მწვეანზე დიდხანს იფართხუნეს. ამ დღიდან დამეგობრდნენ და სანადიროდ ერთად მიფრინავდნენ. მეგობარი დედალი იყო, ტანად სუსტი. ნადირობაც უჭირდა. მასპინძელი მამალი იყო და ღონიერიც. ამიტომ უფრო ადვილად იჭერდა მოზრდილ ქარიყლაპიებს და როცა შეატყობდა, რომ დედალი მშვიერი ან ბაყაყის ამბრა უნდა დარჩენილიყო, გულუხვად სთავაზობდა. ამნაირად დედალ-მამალი ყანჩები ისე შეეჩვიენ ერთიმეორეს, რომ დაცილებაც ეძნელებოდათ. ყანჩებმა ბუდეს აგება გადაწყვიტეს.

ნადირობის შემდეგ ტყისაკენ გაფრინდენ. გზას დიდი ხანი არ შონ-
დომიან. თვალწარმტაცი სანახავი იყო მწვანე ფიჭვები, ნაძვები და სო-
კები ცამდე აზიდულნი.

მუხებს ტოტები გოლიათის მკლავებივით გადაეშალათ. წიფლებს
თეთრით შეეფიფქათ თავიანთი მსხვილი და სწორი ღეროები. მაღალ მურ-
ყნებს (თხმელა), შავგრემანი ტანებით და მუქად-ლურჯი ფოთლებით, მდი-
ნარის ორივე შრივ ხეივნები შეეკრათ. მოშორებით, მინდვრისაკენ, ხუჭუ-
კები ნახად დაეხვიათ წნორებს.



ყანჩებმა ეს წნორები ამოირჩიეს. გარშემო შემოუარეს. ბუღისათვის
წვერის მახლობელი ბორჯდი მოეწონათ.

ორთავემ გულმოდგინედ დაიწყო ტოტებისა და ხმელი ბალახის ზიღვა.
შეუდგენ ბუღის შენებას.

როცა ბუღის შიგნივ რბილები ამოავეს, მშენებლობაც დამთავრდა.
დედალმა ყანჩამ შიგ ექესი ჭორფლიანი, მოლურჯო კვერცხი ჩადო და
მოკრუხდა. იმ დღიდან დედალი ბუღეს აღარ სცილდებოდა.

მამალმა ყანჩამ პირველად ვერ გაიგო ამხანაგის საქციელი, აზირებდად
მოეჩენა, მგვრამ ამხანაგი ისე უყვარდა, რომ სანუკვარი ქარიყლაპია



ერთხელაც არ გადაუსანსლავს მარტო: დედალს უზიდავდა ზუღეში და აქ ერთად შეექცოდნენ.

სამი კვირა გავიდა. ბუღეში გაჩნდნენ პატარა ყანჩები, უმწველესი პინებდნენ და შიშველ ტანებს ძლივს ანძრევდნენ, პირებს აღებდნენ და ბუსუსებიან ფრთებს შლიდნენ.

— გენაცვალეთ, რა მშვენიერები მყავხართ! თქვა მამიკომ ყანჩის ენაზე და სიყვარულისა და მადლობის ნიშნად დედიკო ყანჩას თავისი გრძელი ნისკარტი გადაუსვა ტანზე.

— ხომ მშვენიერებია, ხომ? — ამბობდა დედიკო.

— მშვენიერები კი არა, მაგათზე ლამაზი ქვეყანადაც არაფერია, მაგათ კი ვგენაცვალე! უდასტურებდა მამიკო და მიფრინავდა საქმელის საშოვრად.

დიდმა ხანმა განვლო. შეუშფოთებლად ცხოვრობდნენ ყანჩები. ოთხი ბუღე გამოჩვეს, დაზარდეს და გადმოსხეს.

პატარა ყანჩები დაფრთიანებას ერთ თვეს უნდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში პატარა ყანჩები უმწვეოდ დაფრატუნებდნენ მიწაზე.

ერთხელ პატარა ყანჩები კინალამ უბედურებასა და ხიფათს შეემთხვენ.

მსუნაგმა მელიამ სუნი იკრა, სად გინდა და სად არა, იმ არემარეში მოცანცალდა თავისი გრძელი კუდი. ბუჩქებში გაძვრა - გამოძვრა და დაიხავლა.

გაიგონეს თუ არა მელის ხმა, დედიკომ და მამიკომ იმ წუთსვე შვილებს მიაშურეს, და ბუღეზე აიყვანეს.

მსუნაგმა და ვერაგმა მელამ დიდხანს უტრიალა ხეს გარშემო. ხან გაინაბა, ხან თათები მალლა ასავსავა, ხან იხავლა, ხან კბილები აღრქიალა, მაგრამ ყანჩები უშიშრად ისხდნენ თავისი ბუღის გარშემო და შვილებს გადმოფრენას უშლიდნენ. მელიამ ხერხს მიმართა.

საშინლად აამყარალა. ყანჩებს ცოტა აკლდა გული არ წაუვიდათ, მაგრამ დედიკომ და მამიკომ ფრთების ფართქუნი ატეხეს, და ჰაერი ხელად გაიწმინდა. როცა მელია ვერც ამ ხერხით გახდა რასმე, საცოდავად კნაფილი მორთო, მაგრამ დედიკო ყანჩამ კარგად იცოდა როგორ საწყალ და ალაღ არამკითხე სტუართანაც ჰჭანდა საქმე.

ამიტომაც ტოტიდან ამაყად დაუტია, მიაწყველა:

— აი შე სალახანა, გამცემო, ორპირო, ეშმაკო და გაუმძღარო! ლამაზი ქალის ყელზე მენახოს შემოხვეული ეგ შენი თბილი და ფაფუკბეწვიანი ტყავიო!

გაიგონა თუ არა მელიამ ეს, გადაწყვიტა: აქ მე ვერაფერს გავაწყობო, თავისი კუდი მოიქნია და იმავე გზით გაიპარა, საიდანაც მოცანცალდა.

ბორის ჩხეიძე



წაბღას ხბო

სულ პატარა მახსოვს წაბლა,
კოლექტივში მისცეს მამას,
მაშინ ვერცკი ახერხებდა
ის ბაღახის კარგად ჭამას.

მე დამყავდა ველ-მინდვრებში,
მახარებდა წაბლას ყოლა,
გაიზარდა, გახდა დიდი
და დღეს უკვე ხბოც ეყოლა.

სულ დედას ჰგავს, ასე მაინც,
მიკვირს, როგორ დაემსგავსა
და ნიშანი, როგორც დედას,
თეთრი დაჰყვა შუბლზე მასაც.

რა ლამაზი თვალები აქვს
და ფეხებიც კობტა, ჩვილი,
წაბლა ძლიერ უფრთხილდება:
არ წაართვას ვინმემ შეილი!

მისთვის ზმუის თავის ქნევით
და არ მიშვებს ხბოსთან ახლოს,
ალბათ, ჩემი შეგობრობა
დაავიწყდა, აღარ ახსოვს.

შვილს ალერსით ენით ლოკავს,
დაუფარცხნა სუფთა თავი,
თანაც თვალებს აბრიალებს,
გახდა წაბლა კიდევ ავი.

თუმც დედაჩემს არას ერჩის,
მე კი ახლოს არ მიკარებს,
მაგრამ მაინც ვერ წავესულვარ,
ვერ ვშორდები ბოსლის კარებს.

მუდამ დედას ვეხმარები,
ბოსელს ვგვი და მარჯვედ ვშველი,
მიხარია, რომ გვექნება
მუდამ რძე და ბევრი ყველი.

ნიკოლოზ შველიძე

კატამ პირი დაიბანა



ზამთრის თვეა, არ ჰგავს ზამთარს...

ყველგან თბილა სუსხის ნაცვლად, ყველგან მზეა, და ბავშვების ცელქი ხმები არღვევს ზამთრის მყუდროებას...

ხეს ჩიტები შესევნიან, იფურჩქნიან ფრთებს. უხარიათ ცის ლაყვარდი. ჭიკჭიკებენ, დაფრინავენ ხიდან ხეზე, ხან მინდორზე დასხდებიან და პაწაწა ნისკარტებით ჰამენ ჭიებს...

ამ დროს სახლის აივანზე გააზმორა კატამ.

გაიშოლტა, დაამთქნარა, მერე ისევ მოიგრინა და დააჯდა წელზე კუზი...

გამოსწია კრელი ფეხი...

ფეხი ჰქონდა მეტად სუფთა. ეტყობოდა, სიფაქიზით იყო აღზაბთ განთქმული. ფეხი პირთან მიიტანა და ჭალაღლივით თხელი ენით დიდხანს სლიქა... სლიქა ასე და ბოლოვამს სველი თათი თვადებზე გადაისვა.

კატამ პირი დაიბანა.

თავი გაულამაზდა.

თვალი ასე გააბილა, თითქოს დიდი კაცი იყო.

იჯდა დინჯად... წინ ფეხებზე კოხტად იდგა, მაგრამ უკან უცნაური კუზი ჰქონდა.

ამ დროს გიგლა მას შორიდან უცქეროდა და ხიბლავდა იმ კატის უცნაური ოინები. მერე კიდევ გაიფიქრა:

— ჩემო ფისუნია, დიდი ეშმაკი ხარ, შენ უბრალოდ არ დაიბან პირს, აღზაბთ, რაღაც უნდა დაიჭირო... ნეტავ ვის უნდა მიეპარო შენი ქურდული ფეხაკრეფით?

ფისუნია მწყნარად გაიხედა გიგლასკენ. თითქოს მიხედა იმის ფიქრებს, პატარა ყურები შეათამაშა.

— მე ძილის შემდეგ პირს ყოველთვის ვიბან. პირდაუბანელი ეხოში როგორ გავივლი, სირცხვილია. მე სიფაქიზე მიყვარს... სიფაქიზე შენც გიყვარს, ჩემო გიგლა, მაგრამ ჩემსავით კი არა...

კატის ყურების შეთამაშებასა და თვალების ეშმაკურად ნაბეჭდო თითქოს ეს სიტყვები ისმოდა. გიგლას არაფერი გაუგონია, მაგრამ მანძილზე მიხვდა, რომ მისი ფისუნია სიფაქიზით ძალიან ამაყობდა.

— ნუ გიკვირს შენი სიფაქიზე. არც მე ვარ პირდაუბანელი. მეც მიყვარს ლამაზად სიარული, — ახლა კი ხმამაღლა თქვა გიგლამ და აქოჩრილ თმაზე ხელი გადაისვა.

ფისუნია აიენიდან ძირს გადაბტა. მიწაზე მსუბუქად დაეცა, ეზოში დინჯად გაიარ-გამოიარა. მისი ამაყი სიარულიდან ჩანდა:

— აი, შემომხედეთ, მეც ვარ ამ ქვეყანაზე, აი რამსიგრძე უღვაშები მაქვს!

ბოლოს უკანა ფეხებზე დამჯდარ ძაღლს ცხვირწინ გაუარა. ძაღლი განაბული იყო, თითქოს და-ძმანი იყვნენ.



ზამთრის უჩვეულო თბილმა მზის სხივებმა ძაღლი და კატა ერთმანეთს დაუმეგობრა...

ზამთრის მზე სხეანაირია...

ზაფხულში ცხელა, მზე ძალიან იკბინება. ადამიანი ემალება მის მწველ სხივებს, ჩრდილს ეფარება.

ზამთრობით, ცა რომ მოწმენდილია და ლაქვარდ სიერცეში მზე ბურთივით კიდია, მისი სხივები საამური, ყველაფერს ბიბლავს...

ახლაც ხომ ზამთარია...

ჩიტები უცნაურ ხმაზე თივთივებენ.

ფისუნია იზმორება.

ძაღლი გაბუტულივით ზის...

ბარები ეზოში დაბლუიან, დასვენებულ კისრებს ხეებზე იფხანენ. ზოგიც გვერდზე გასულა და თითქოს ალღოსის ნიშნად რქებს ერთმანეთს უჯახუნებენ.

ლაფრ. ჰიქინაძე

სოკასუხი ფეხიას



წერილი რომ მომივიდა,
ცეცხლთან ვიჯექ 'ბუხრის წინ და
შენს ბებიკოს ხელს ვუწყობდი,
რომ ექსოვა შენთვის წინდა:
ძაფის გორგალს ვუგორებდი,
ჩვენ ორივე წინდას ვქსოვდით...
გამიხარდა ძალიანი,
არ მეგონა, თუ გახსოვდი!..
მე რა მიჭირს: მოვიზარდე,
ახლა ვიჭერ წერილ წრუწუნებს,
დაჭერილებს თუ მომიყვან,
იმას ვინდა დაიწუნებს?!
როცა მზეა, სულ გარეთ ვარ,
ხეზედაც კი ავცოცდები,
ერთხელ ხელიკი დავიჭირე,
რომ გიამბო, ვაოცდები!
გუშინ რეზომ დამიჭირა
და უნდოდა რომ ეცემა.

რომ იცოდე, რა იტირა,
ჩემი ბრჭყალი რომ იგემა!
უცებ მიშვა ორივე ხელი,
გადმოკაკლა ცრემლი ცხელი,
მაგრამ მის თავს დააბრალოს:
რატომ უნდა რომ მაწვალოს?!
სულ კნაოდა მქლე კნავილა,
კველას გული გაუწვრილა,
თავი რომ ვერ დაიჭირა,
წიწილს შეჭმა დაუპირა,
და შეასწრეს უცებ თვალი,
აუწყვიტეს სახლში კვალი!
თუ დარია — მზეზე ვთბები,
ლამე შენს ბებოსთან ვწვები;
სხვას, რომ მოხვალ, მოგიყვები,
მომიყვანე, გთხოვ, თავგები!

ილია სიხარულიძე



ვეფხოს ჯერ კიდევ არ ენახა მთებში მოსრიალე პატარა მატარებელი. როდესაც მამამ იგი, ზაფხულში, ბორჯომს ჩაიყვანა, ცნობისმოყვარეობით დააკქერდა პატარა ვაგონებსა და პატარა ორთქლმავალს.

— ახლა ჩვენ იმ მატარებელში უნდა გადავჯდეთ, ის წაგვიყვანს წალვერისაკენ, — უთხრა მამამ.

პატარა ვეფხო ძალიან მოხიბლა ლამაზმა ბუნებამ. პიონერთა ქალაქის ქვიშხეთის შემდეგ, როცა მატარებელი მტკვრის ხეობაში შეიჭრა, მას თვალი არ მოუშორებია მალალი მთებისა და მდინარეებისათვის.

უფრო მეტად მოხიბლა იგი წალვერ-ბაკურიანის გზამ: ვიწრო ლიანდაგმა, აღმართმა, მთებიდან მორაკრაკე წყაროებმა, ლამაზმა ხეობამ.

წალვერში სადგურთან შეეგება ახლადჩამოსულ ბავშვებს დეიდა მაკა; მან ისინი სკოლის ასაკამდე კოოპერაციის მიერ მოწყობილ ამხ. ფ. მახარაძის სახელობის საზაფხულო დასასვენებელ საბავშვო ბაღში წაიყვანა.

ეს ბაღი სადგურის პირდაპირ, მთაზე, ტყეში, არჯვენაძისეულ სახლში იყო მოთავსებული. ბავშვებს იქ ბაღის გამგე დახვდა, მოუაღერსა და ყველას ბინა მიუჩინა.

ვეფხოზე წინათ ჩამოსული ბავშვები ტყეში დარბოდნენ, კისკისებდნენ, თამაშობდნენ, ცეკვავდნენ. ვეფხომ პირველ ხანებში დაიმორცხვა, ეხამუშებოდა დარჩენა უცნობ ბავშვებთან. როცა მამა ეთხოვებოდა, თვალები ცრემლით აევსო.

— არა გრცხვენია, რა გატირებს, — უთხრა მას დეიდა ნატამ — აგერ, გაიცანი თენგიზი, არჩილი, კიდევ სხვა შენი ტოლები და ითამაშე, გაერთობი... მალე წარმოდგენას გამართავთ, შენც მონაწილეობას მიიღებ, ხომ გინდა?

— მინდა, — ზღუქუნით უპასუხა ვეფხომ და თვალიდან
ცრემლი ჩამოუვარდა.

ვეფხო თენგიზსა და არჩილს დაუამხანაგდა. თანდათან მზე
ენგია აქაურობას.

თუ ზოგი ბავშვი ქირვეულობდა, მკედარი საათების დროს
ლოგინში არ ისვენებდა, — ვეფხო, თენგიზი და არჩილი, პი-
რიქით, ქკუით იყვნენ, დეიდა მაკას უჯერებდნენ და ძალიან
მალე მოკეთდნენ, გასუქდნენ.

დილა იყო, ნიავი ნახად არხევდა ნაძვის შტოებს. მზე მთის
წვერზე ათამაშებდა თავის ოქროსფერ სხივებს. ბავშვები ტყეში
იყვნენ გაფანტულნი.

— ავტო, ავტო! — დაიძახა პატარა თენგიზმა. — ავტო
მოდის!

ბავშვები მოგროვდნენ და ბორჯომის გზატკეცილს დაა-
ქვრდნენ.

ავტო საბავშვო ბაღისკენ ასასვლელ ბილიკთან შეჩერდა.

— აქეთ მოდიან, აქეთ! სტუმრები, სტუმრები! — იგრი-
აღეს ბავშვებმა.

მათ ძალიან უხაროდათ სტუმრების მოსვლა.

— დიმიტროვია, ბავშვებო, დიმიტროვი! მწყობრად და-
ეწყვეთ, შევეგებოთ, — უთხრა მათ, დეიდა ნატამ და განაგრძო:

— დიმიტროვი ძველი რევოლუციონერია, ბოლგარელი;
საბჭოთა კავშირის ძვირფასი სტუმარია. მას და მის ამხანაგ ბოლ-
შევიკებს — ტელმანს, ტანევსა და პობოვს — გერმანიის ფაშისტუ-
რმა მთავრობამ რეიხსტაგის შენობისათვის ცეცხლის წაკიდება
დასწამა. ბევრი ტანჯეს, აწამეს, მაგრამ ვერაფერი გაუვიდათ.
ბოლშევიკები მტერს მედგრად შეხვდნენ და კიდევაც გაიმარჯვეს.

ვეფხო გულმოდგინედ უსმენდა დეიდა ნატას.

— მერე, მერე? — ჩაურთო მან სიტყვა, — გერმანიიდან აქ
როგორღა გაჩნდა?

— როცა გაათავისუფლეს, აეროპლანით გადმოაფრინეს
მოსკოვში! აბა, ბავშვებო, ერთად მიესალმეთ მწყობრად, ასე:
— გაუმარჯოს ძვირფას სტუმარს, ძია დიმიტროვს!

ბავშვებმა გაიზვიანდნენ მისალმება და, როდესაც დიმიტრო-
ვი და სხვები მალლა ამოვიდნენ, ერთად დაიგრიაღეს:

„გაუმარჯოს ძვირფას სტუმარს, ძია დიმიტროვს!“.

იგი აღტაცებაში მოიყვანა ბავშვების მისალმებამ. ყველა-
ფერი დაათვალიერა, ძალიან მოეწონა ტყე, ბუნება, გარემო.



ბავშვებმა ლექსები თქვეს, იმღერეს, ცეკვა-თამაში აჩვენეს.

ვეფხო თვალს არ აშორებდა დიმიტროვს.

— ნეტავი მეც ასეთი გულადი რევოლუციონერი, **ბრატო**

შევიკი ვიქნებოდე! — ნატრობდა იგი.

ბავშვებმა ჟივილ-ხივილითა და კისკისით ავტომდის ჩა-
აცილეს თავიანთი საპატიო სტუმარი.

ხშირად იმართებოდა სხვადასხვა გასართობი და საღამოები საბავშვო ბაღში. ვეფხო და თენგიზი კარგად ამბობდნენ ლექსებს და კარგადაც ცეკვავდნენ. ვეფხო დაჯილდოვებს მომავალ წელს იმავე საზაფხულო დასასვენებელ ბაღში უფასო ორთვიანი დასვენებით. ბავშვების გართობაში და თამაშობათა გამოგონებაში მან განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა.




ერთხელ, საღამოჟამს, როცა მზე მაღალ მთას უნდა ამოფარებოდა, სრულიად მოულოდნელად ესტუმრა საბავშვო ბაღს საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი ამხ. კირილე პაქკორიას ხელმძღვანელობით. კონცერტი ტყეში გაიმართა. გუნდმა შეასრულა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები და ცეკვები. ბავშვებმაც იცეკვეს, იმღერეს; გუნდთან ერთად სურათი გადაიღეს. შემდეგ მადლობა გადაუხადეს გუნდსა და მის ხელმძღვანელს და სიცილ-კისკისითა და ჟრიაშულით გააცილეს ისინი.

როცა ვეფხო და მისი ამხანაგები ბათოშში ჩაიყვანეს, უკვე სწავლის დრო იყო. შინ თავიანთ მშობლებს და სკოლაში აქარელ ამხანაგებს ხშირად უამბობდნენ წაღვერში გატარებული დროის შესახებ:

— კარგი მოვლა გვქონდა, კარგი კვება, გონივრულ მუშაობას ვეწეოდით, ვხატავდით, ვძერწავდით, მზის აბაზანებს ვიღებდით და ასე ლამაზად ვცხოვრობდით ბუნების წიაღში.

ლადო გეგეჭკორი



პირიკას ჩივილი

— ვაი, ვაი, ვაი! — ყვირის ხმამალა ვირი.

— რა მოგივიდა, ასე რომ ღრიალებ? — ჩამოსძახა სახურავიდან ციკუნამ.

— ჭალბატონო, თუ გული შეგტკივა ჩემზე, ძირს ჩამობრძანდი და ისე მკითხე.

— ძირს ფეხი გამესერება, ტალახია, მე კი ყოველგვარ ქუჭვს გავფურბი, — უბასუხა ციკუნამ.

— გუშინ პატრონმა კალათით ბზე მომიტანა; თავი შიგ ჩავყავი, მინდოდა მექამა, ცხვირზე რალაკამ მიკბინა. მე თავი გავაქნიე, კალათი წაიქცა და ბზე მთლად მოიფანტა. კალათში, თურმე, თავი ყოფილიყო. ბზეს რომ ჭამა დაფუჭყე, უკანა ფეხებზე ფუკბინე, მანაც ცხვირზე მიკბინა და თავს უშველა. შენ რომ სინდისიერად აკეთებდე შენს საქმეს, თავგები არ იქნებოდა, მაგრამ ზარძაცობ...

— კმარა, კმარა, ვირის ჭკუის დარიგების რა მკოდნია!

კიდევ უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ დაინახა მომავალი მურიკა და მოკურცხლა.

— ვაი, ვაი, ვაი! განაგრძო ვირიკამ.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა მურიკა.

— შენც მკითხებები? შენ ხომ პატრონის მეტს არაფის ცნობ. სხვისი ძალა რომ დაინახო, თვალებს დაათხრევენებ, თუ ის გამხდარია და შიშისაგან მოიკუტა, მაშინ ხომ დაახრჩობ, ქურდად მიგაჩნია, ის კი ვერ გაგიგია, რომ კარგად ჩაცმული და ღიპიანია ნამდვილი ქურდი და ხალხის ქონების გამფლანგავი! შენ როგორ გაიგებ ჩემ გულისტკივილს...

— ვაი, ვაი, ვაი! — გააბა ვირიკამ.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ჯორი.

— შენ ხომ ჩემი ჯიგარი ხარ, მაგრამ ჩემკენ მოხედვასაც არ კატრულობ, უფრო მაღალი და ღონიერი რომ გამოდი.

— ვაი, ვაი, ვაი! — კიდევ აკვნესდა ვირიკა.

— რამ შეგაწუხა ასე, რომ სულ ვის იძახი? — შეეკითხა ყორანა.

— იი, ყორანა კი გაიგებს ჩემს გულისტკივილს, — აღერსით შეხედა ვირიკამ ყორანას.

— ჰო, ეგ მართალია, რომ დავინახე ყველას შევეუტიე. მივხვდი, რომ იმით ვერ გაიგებს შენი წუხილი და მოველ.

— მართლაც ვერ გაიგებს, გულისტკენით შენიშნა ვირიკამ. — ჩემო ყორანავ, ნამეტანმა შრომამ და ცემამ გამომაყრუა, დადებჩავედი, სულით დავეკი, ვეღარ ვერკვევი და უთავბოლოდ ვყვირი. მაგრამ მე არ ვარ ამაში მთლად დამნაშავე. რაც უფრო შეუგნებელია პატრონი, ის მით უფრო დაუზოგველად მეპყრობა. აი, შედეგაც როგორია, დახედე ჩემს ზურგს.

ყორანა ახლოს მივიდა, დახედა ვირის გადატყავებულ ზურგს და მტად შეწუხდა.

— რა უქნია, ასე დაუზოგავად გამუშავებს? მერმე და შენ წიხლი ვერ მიაყოლებ?

— ეჰ, ჩემო ყორანავ, შენი წიხლი საიქიოს გაისტუმრებს, მან იცის ეს და გერიდება, ჩემი წიხლი კი სიცილად არ ჰყოფნის. თუ ვაგჩერდი, გაფუძალიანიდი, ცხვირ-პირში დამიწყებს ცემას. გუშინწინ წისქვილში საფტკვეი წავეიღე. ძლიერ მძიმე იყო, კვნესით და ჩოქჩოქით ძლიერ წავეთრეი. მაგრამ ძალიან გული მომდიოდა. დაბრუნებისას პატარა ღელე გამოვიარე. ზურგი ძალიან ამეწვა, ვიფიქრე ვავგრძლები-თქო და წყალში ჩავეწექ... პატრონმა ტვირთი მხარზე გადაიკადა, ფტკილი მეორე ნაპირზე დატოვა და მერე გამიყვანა. ხელახლა ამკიდა ზურგზე. ასე ჩანჩალით დავბრუნდი შინ. როგორც კი ჩამოიღო ტვირთი, მე მაშინ ტკივილი ვიგრძენ. ვერ ვხედავ რამხელა ნატკენია, ისე კი ძალიან მაწუხებს. პატრონს რას გავაგონებ! გული რომ შესტკიოდეს, ვანა ასე მოიკტეოდა?


— ჩემო ვირიკო, შეგნებულად უნდა მოიკტე: როცა ტვირთი დიდია და ვერ მოურვევი, განზე გაუდგე: თუ გცემს, მაშინ დაიყვირე, ჩვენ გავიგებთ რაშია საქმე, თორემ შენ უთავბოლოდ ღრალე, უადვილოდ გაჯიუტდები ხოლმე. შენი ასეთი ღრიალი და ჯიუტობა მიხანს ვერ აღწევს. ამიტომაც ამბობენ ვირივით ჯიუტია, ვირივით მუშაობსო. შენ ხომ მიცნობ მე, პატრონი რომ ჰაერში მითრახს შეთათამაშებს-მე უკვე მივჭკრი, ეს ჩემთვის ღირიყორის ჯოხია.

— როგორ თუ ღირიყორის? — იკითხა ვირიკამ.

ხომ გინახავს ქუჩაში მუსიკოსები, მათ წინ კაცი მიუძღვის, ის ან ხელს აქნევს ან პატარა ჯოხს და მით ანიშნებს, როგორ უნდა დაუკრან მუსიკა.

— ვახ, ვახ, ვახ! წამოიყვირა ვირიკამ სიხარულით, მივხვდი—ახლა შიგნ-
ხვდი. მე კი ამ მუსიკას კვინტრიშ-კვინტრიშით მივყვები, ხან ხმასაც
ვაყოლებ.

— ეჰ, ჩემო ყორანავ, შენ დიდად შეგნებულნი ხარ. სულ სხვა რაღა-
ლისა ხარ, მე კი ჩანჩალა ვირად დაეზადებულკარ. მე როგორ შემიძლია
შენს კვალს მივდიო?



— ჩემო ვირიკა, ტყუილად გაგტეხია გული. წინათ იცოდენ ასე ლა-
პარაკი, ახლა კი სხვა დროა: ყველა დაჩაგრულმა ენა ამოიდგა, ცოდნა
შეიძინა და დაწინაურდა. მოინდომე, ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მონახე-
რეაო, სცადე...

— გმადლობთ, ვეცდები, ვეცდები, — აღუთქვა ვირიკამ. ამ დროს
ყორანას პატრონი მოვიდა, ზედ შეაბტა, და ყორანამაც გაქროლა.

— ვახ, ვახ, ვახ! როგორ ქარსავით მიქრის ჩვენი ყორანა! — შესძახა
ვირიკამ და შეკვინტრიშდა.

— ყეფ, ყეფ, ყეფ! ძვირფასია ყორანა, სულ უფროდაუფრო და-
შვეენდა. პატრონი ძლიერ უვლის და ისიც ცდილობს პატრონი ასახელოს,
— დაუმატა მურიკამ.

სკოლიდან დაბრუნებული ვანო ვირიკასთან მოვიდა. მას ჩვეულებად
ჰქონდა, როცა ვირიკას თავისუფალს დაინახავდა, ზურგზე უნდა მოსჯლო-
მოდა და აჩანჩალებდა, თანაც უვლიდა, არ აწვალებდა ახლაც მასთან
მივიდა.

— დედა, ეს რა მოსვლია ჩვენს. საწყალ ვირიკას! — ხმამალა დაი-
ძახა ვანომ.

მელანო კარზე მოდგა, დახედა ვირს.



— უი, თვალები დამიდგეს! ეს რა ჩაუდენია მამაშენს! დაბრუნდეს! მოვახსენებ მის საკადრისს!

— დედა, როგორ მოუვიდა ეს ამ საცოდავ ვერს?

— შეილო, დაუზოგავი მუშაობისაგან და უყურადღებობით. აქაო და ვირიაო, ყველაფერს აიტანსო. ეგეც სულდგმულია, ის გრძნობს ყველაფერს, როგორც ჩვენ. ენა რომ არ აქვს, ამიტომ არ უნდა დაეზოგოთ? ახლავე წაიყვანოთ კოლექტივში, იქ საქონლის ექიმია, წამალს მოვეცემს და თუ მამაშენი კიდევ ცუდად მოექცა, კოლექტივს გადავცემ და მამაშენმა ყველაფერი თავისი ზურგით ზიდოს.

ვანო გზაში სულ ვირს ეფერებოდა, ეცოდებოდა პირუტყვი.

— დედამ ეს შენიშნა.

— შეილო, მაგ ვირიკას შენ გაბარებ მოსაველედა. კარგად მოუვლი?

— კი, ჩემო დედიკო, პირობას გაძლევ, კარგად მოვევლი.

პელომ თავშალი მოიხურა.

ვირიკა კოლექტივში წაიყვანეს ექიმთან.

ნინო ტყეშელაშვილი

ი რ მ ა

მზე დედამიწას უცინის,—
გამქრალა თოვლის ნარჩენიც...
და როგორც ლალი ქურციკი
კლდეზე გადმორბის ჩანჩქერი.

ირმავე! გაპყვევი მინდორველს
ძოვე ბალახი რძიანი,—
ხვალთან შენც მოგინდომებს
გუთანი ქრელულლიანი.

...ირმა გაპყვირის ბუმბერაზ
კავკასიონის მწვერვალებს...
ლერწმებს იღეწავს გულზე-და,
სპილენძის ფერად ელვარებს...

ილაღე, იყავ ნებაზე!
დაბურთე ლურჯი ძარღვები!
ხვალ უფრო, გათენებაზე
ვეფხვივით დაიძაგრები!..

ბუღობს ალაზნის ნაპირზე
წნორის და ვერხვის შრიალი
სადაც სალამურს ამღერებს,
სარქალი გიშერთმიანი...

გაპყვევი მწვანე მინდორველს
ძოვე ბალახი რძიანი
მზათ იყავ, შენც მოგინდომებს
გუთანი ქრელულლიანი.

შალვა ამისულაშვილი



უკვე ერთი წელიწადი გავიდა, რაც შიო მღვიმელის ლა-
მაზი ლექსები არ ამშვენებს ჩვენს ჟურნალებს. 1933 წლის დე-
კემბერში სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან ძია შიო. ჩვენ
იგი დიდი პარტივისტებით დავასაფლავეთ დიდუბის ქართველ
მოღვაწეთა პანთეონში. ძია შიო მრავალმა ბავშვმა წრფელი
გულით დაიტირა და მიაცილა საფლავამდე. იშვიათია მეორე
მწერალი, რომელიც ჩვენს ბავშვებს ასე ძლიერ ყვარებოდეს.



ეს არც გასაკვირვალა. ქართველ
მწერალთაგან შიო მღვიმელი იყო თი-
თქმის ერთადერთი, რომელიც ყვე-
ლაზე უფრო ახლო მივიდა ბავშვის
გულთან. შიომ თავისი საკმაოდ ხან-
გრძლივი სიცოცხლე და მოღვაწეობა
საბავშვო ლიტერატურას შესწირა.
იგი წერდა სადა, ცოცხალი მხატვრუ-
ლი ენით, ბავშვისათვის უაღრესად
გასაგები ენით. შიომ იცოდა თემე-
ბის საგულდაგულოდ შერჩევა, საინ-
ტერესო საკითხებზე შერჩევა და ამ
საკითხებისადმი ბავშვთა ყურადღების

გამახვილება. წერდა დიდი სიყვარულით, დიდი გატაცებით,
და ბავშვებმაც შეიყვარეს თავისი მწერალი, მას ძია შიო
დაარქვეს.

შიო იყო უწყინარი, პატარა ტანის კაცი. მის კეთილ-
შობილ სახეს განუშორებლად თან ახლდა რაღაც მკრთალი და
ტკბილი ღიმილი. ეს ღიმილი უფრო მეტად მშვენებდა მას
მაშინ, როცა მწერალი ბავშვებში იყო და თავისი თბილი სი-
ტყუებით ატკობდა მათ. დადიოდა წყნარად, იცვამდა უბრა-
ლოდ და ხელში მუდამ ეჭირა ყავარჯენი. ძია შიოს სიკვდილი
დიდი დანაკლისია ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის. ჩვენ
ვწუხვართ, მაგრამ ვცდილობთ და ვიბრძვით ამ დანაკლისის
შესაქვებად. დასაფლავების დღეს ძია შიოს დიდი გულისტკი-
ვილით სამუდამოდ დავემშვიდობეთ. დღეს, ერთი წლის შემდეგ,
ისევ ვიგონებთ ამ დიდებულ მწერალს და პარტივისტების ნიშ-
ნად ხელმეორედ გულისტკივილით ვემშვიდობებით.

ტატიანა



ქური ფისო

საყვირის ხმა უკვე გაისმა ჩამოთვლილ ქალაქში. პატარა ბაღაში ხის ტოტები ჩამოზნექილა თოვლის სიძიმისგან. ტრამვაი ზარის წკარუნით მისრიალებს მოსიძულ ლიანდაგზე.

— დალი, ცხრის ნახევარია, ადექ, სკოლაში დაგივიანდება, — ეძახის დედა დალის.

— რატომ უფრო ადრე არ გამოდიხე, დედუნი, — თვალების ფშვინით უსაყვედურებს ხუჭუქთმიანი დალი, თან ფანჯრიდან შემოჭრილ უჩვეულო სინათლეს თვალს ვერ უსწორებს.

— წუბელ მოუთოვია, შვილო, აბა გახედე ბაღას, როგორ გადათეთრებულია.

— შენი ჭირმე, დედუ, რა მიხარია თოვლი! — დალი უკვე სარკმელთანაა, საღამურ პერანგში დგას, უცქერის, როგორ ცვივა თოვლის ფანტელები და ხტუნავს ცალ ფეხზე.

— ჩაიცვი, შვილო, მეც მივიანდება სამსახურში. — ეუბნება დედა და ჩაის ასხამს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლოყებშეწითლებული დალი დედასთან ხელჩაკიდებული მიბაკუნებს სკოლისაკენ.

— დედიკო, იცი, გელა ამბობდა, როგორც კი მოთოვს, თოვლის კაცი უნდა გავაყეთოო, დღეს მასწავლებელმა თუ ნება მოგვცა, ბაღში ვითამაშებთ.

სკოლაში მივიდნენ. დერეფნიდან მხიარული ქრიაშული მოისმოდა. დალიმ პალტო და ბოტები გაიხადა, მომეღელ ქალს ჩააბარა, დედას მოეხვია, აკოცა და ამზანაგებისაკენ გაიქცა.

— კვიანად იყავ, არ იცელქო! — მიაძახა დედამ.

გამზიარულებული დალი ბავშვებში შეერია, აღრიცხვის ფურცელზე თავისი გარი მონახა.

დალიმ ახლა უკვე წერა-კითხვა იცის. სანამ უმცროს ჯგუფში იყო, მანამდის პატარა ყუთზე გარედან დახატულ პეპელას ფერით ცნობდა გვარს.

ბავშვები ერთმანეთს ულოცავენ თოვლს, ასკინკლა ზტამანის სუბეზნი სუბენ. მოვიდა ყურებდაწითლებული ცელქი რეზოც, მას მალულად თოვლის გუნდა შემოეტანა.

— თოვლი მოდის, თოვლი! — წამოიყვირა მან და დაფხენილი გუნდა გადაყარა ოქტომბრელებს. შეიქნა ხმაური, კისკისი. ბავშვები რეზოს დაედევნენ, ის მაგიდის ქვეშ შეძვრა და იქიდან დაუწყა გაჯავრება.

— შენ სულ ეშმაკობაზე გაქვს თვალი და ყური, აბა ლექსი მითხარი, თუ იცი! — დაუძახა თინამ.

— ჰო, ეშმაკობს, მაშ, გუშინ წასვლისას ქული დამიმალა, — დაუმატა მეორემ.

— ვინ არ იცის ლექსი, მე? — გამოძვრა მაგიდის ქვევიდან რეზო. — ლექსი სულ ზეპირად ვიცი.

— აბა, თქვი, თუ იცი!

რეზო შწყრივში მდგარ წითელარმხიელივით გაიქიმა, თავმომწონელ გადაშხედა ამხანაგებს და დაიწყო:

„ოქტომბრის ყვავილები ვართ,
ვიზრდებით და ვიშლებით“.

.....

შეჩერდა, დაავიწყდა... — ვიცი, მაგრამ არ გეტყვით! — ნიშნის მკვებით უთხრა ამხანაგებს.

— არ იცი, თორემ იტყვოდი კიდევ! — მიადახეს აქეთ-იქიდან.

დალიმ გააჯავრა რეზო

— წი, წი, წი,

ლექსი არ ვიცი,

მოდი, მასწავლებელო,

ყური ამიწი“.

ბავშვებმა სიცილ-ხარხარი ატეხეს. რეზო გაბრაზდა, გაქცეულ გელას ფეხი გამოსდო, და იატაკზე გამზლართული გელა აღრიალდა.

— რა ამბავი გაქვთ, ბავშვებო? — შემოაღო კარი მასწავლებელმა.

— დეიდა მარო, დეიდა მარო! — მისცვივდნ ბავშვები. — რეზომ გელა წააქცია.

რეზო კარადის ზუკან იდგა და ბავშვებს მუშტებით ემუქრებოდა.

— აბა, აქ მოდი ჩემთან. — იხმო მასწავლებელმა. — რად წააქციე გელა?

— გამაჯავრა, დეიდა მარო, და იმიტომ, საერთოდ ყველანი დამცინოდნენ, ლექსი არ იციო, — აჩვილა გული რეზომ.

— ჰოო, ეგ კი კარგი არ არის, ბავშვებო, როცა გაკვეთილი არ იცის, კი არ უნდა დასკინოთ, არამედ ეცადოთ დაასწავლოთ, მაგრამ შენ მაინც დამნაშავე ხარ ამბანაგებთან, — მიუბრუნდა რეზოს მასწავლებელი. — ასეთი ხუმრობა არ ვარგა: შესაძლოა ბავშვი ისე წაიქცეს, რომ რამე ეტკინოს. გუშინ კიდევ ნანას ქუდი დაუმაღე.. შენ ოქტომბრელი ხარ და შენი საქციელი ყველასათვის მოსაწონი და სამაგალითო უნდა იყოს.

თავდახრილი იდგა დამნაშავე და თვალებს აპარპალებდა, ცდილობდა კრემლები არ წასკდომოდა.

— დეიდა მარო, ახლა შაპატიეთ და არასოდეს აღარ გავიმეორებ, არც ქულს დაფუძალავ ვისმე და არც ფეხს დაფუძებ წასაქცევად.

— აი, ეგრე სჯობია, რეზო, — უთხრა კმაყოფილმა მასწავლებელმა.

პირველი გაკვეთილი ხატვა ჰქონდათ. ზოგმა თოვლის კაცი დახატა, ზოგმა სასახლის ბაღში მდგარი დათოვლილი ნაძვები. ჯგუფში ყველაზე



კარგად ნელი ხატავდა. მისი ფისო ისეთი გამოვიდა, რომ ნამდვილში ვერ გამოარჩევდით.

დასვენებისას ბავშვები გამოთარ შუშაბანდში გაიქცენ სასაუზმოდ. თუნუქის ღუმელთან ლამაზი კრელი ფისო ჩვეულებრივი აღარ ჩანდა.

ღიასახლისის კატას დიდი სარგებლობა მოჰქონდა საბავშვო ბაღისათვის: მისი შიშით იყო, რომ სამზარეულოსა და შუშაბანდში, სადაც ბავშვები საუზმობდნენ, თავი არ ჰკანებდა. ის ოქტომბრელების მეგობარი იყო, ყოველთვის იმათთან ერთად საუზმობდა. ბავშვები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა უკეთ გამასპინძლებოდნენ საყვარელ ცხოველს, ხშირად მო-

ქონდათ შინიდან ხორცის გემრიელი და მსუქანი ნაჭრები. ხუმრობა.
საქმე ხომ არ იყო, — ფისო იცავდა მათთვის მომარაგებულ სურსათს.
სანოვაგეს თავგებისაგან. ზიზღით

— ფისო სად არის, დღეს ჩვენთან ერთად არ ისაუზმებს?! შემოგზი-
ვენ ბავშვები დიასახლისის, რომელიც საუზმეს არიგებდა.

— ბავშვებო, იცით, დეიდა ელენე ამბობს, ჩვენს ფისოს მალე
კნუტები ეყოლებოა, — აღარ დააცალა პასუხი დალიმ.

— მართლა, დეიდა ელენე, მართალია?! — დაეკითხნენ ამ ამბით
გახარებული ოქტომბრელები დიასახლისის.

— მართალია, ჩემო კარგებო, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა ფისო
აღარ ჩანს, რა მოუვიდა არ ვიცი, თავგები მომარაგულდენ კიდევ.

— ერთი კნუტი მე უნდა წავიყვანო, — წარმოთქვა დინჯად რეზომ.
ნასაუზმევი ბავშვები თივლ-ბივლით შეცვივდნენ საკლასო ოთახში.
შემდეგი გაკვეთილი სიმღერა და ცეკვა ჰქონდათ.

— წასვლის დროც მოვიდა. დერეფანში ერთიამული იღგა. იცემდენ,
ემზადებოდნენ წასასვლელად.

— სად არის ჩემი ქუდი? — წაშიძახა ნანამ. — ვეღარ ვიპოვე.

— რეზო დამალავდა, — უპასუხა ერთმა.

— ყველანი რეზოს მიცვივდენ.

— გუშინწინაც ასე არ აწვალე ნანა, აკი მაშინაც ამბობდი არ ვიციო.
რეზო მტკიცე უარზე იდგა.

— არა, ბავშვებო, რეზომ ხომ პატიოსანი სიტყვა მომცა, ამას აღარ
ჩაიდნდა, — ჩაერთა საუბარში ზმაურობაზე გამოსული მასწავლებელი.

— მასწავლებელო, მართალს გეუბნებით, ქუდი მე არ დამიძალავს.

— ჩემი ცალი ხელთათმანი სადღა? — დაიწყო ძებნა თინამაც.

ყველა შეწრიალდა, ყველანი ეძებენ ნანას ქუდსა და თინას
ხელთათმანს, სულ გადმოაბრუნეს ყველაფერი, კარადები და თაროები
დაათველიერეს, მაგრამ ამაოდ.

— ეს სულ ნანასა და თინას ბრალია. ისე უდიერად ეპურობოდნენ
ქუდსა და ხელთათმანს, რომ ალბათ იმთ არჩიეს პატრონებისაგან შორს
ყოფნა, ფრთები გამოისხეს და გაფრინდნენ, — გაიხუმრა მასწავლებელმა.
მაგრამ დღეს იმაზე ვიფიქროთ, ნანა როგორღა წავა შინ უქულოდ.

— არა უშვს, ნუ შეწუხდებით, ჩემს ყელსახვევს მოვახვევ თაზე, —
უთხრა მასწავლებელს ბავშვის შინ წასაყვანად მოსულმა მამამ.

იმ დღეს საღამოთი დალი ბებიას უამბობდა საბავშვო ბაღში მომ-
ხდარ ამბებს: დღეს ფისოს ჩვენთან ერთად არ უსაუზმია, დეიდა ელენემ
თქვა, მალე კნუტები უნდა ეყოლოსო და ყველას ძალიან გვიხარია. ჰო,
მართლა, იცი, ბებუკა, მასწავლებელმა ზუმრობათა თქვა ქუდსა და ხელ-
თათმანს ფრთები გამოუსხამთო და გენომ კინაღამ დაიჯერა. გენო ჩემზე
უმცროსია და ისეთი სისაცილოა, გუშინ თავისი გვარი ვერ მონახა, მი-
სი პეპელა ყვითელია, იმან კი წითელი ფერი ვერ გამოარჩია ყვითელში
და სხვის გვარზე ამბობდა ჩემიო.

მეორე დღეს სკოლაში ერთი საკვირველი ამბავი მოხდა: წასვლისას
დალის ყელსახვევი დაეკარგა. ეტყობოდა, ვიღაც არ ხუმრობდა.

ყველაფერი დაათვალიერეს, მაგრამ ვერ იპოვეს. შუშაბანდის ერთ კუთხეში მაკარონის დაკლილი ყუთები იდგა.

ყველაზე უფრო მაღლა მდგარი ყუთიდან უმწეო კნავილი დაიშრებოდა და დაეცა. ყუთი ძირს ჩამოვარდა და შიგ ჩაიხედა. მის ძახილზე შემოგროვილი ბავშვები გაოცებულნი და აღტაცებულნი ჩასქტროდნენ ყუთში მოკალათებულ მათ შვეგობარ ფისოს თავისი ახლადდაბადებული კნუტებით, რომელთაც დედის შრუწველობით რბილად ჩაფენილი ჰქონდათ ნანას ქუდი, თინას თბილი ხელოთათმანი და დალის ყელსახვევი.

— აი, თურმე ვინ ყოფილა ქურდი! — წამოიძახა დამი. — რა გყუთვინს ახლა მაგას?

— დავსაჯოთ, დავსაჯოთ! — დაიძახეს ბავშვებმა ერთხმად.

— რად უნდა დაისაჯოს ფისო, ბავშვებო? ყოველი დედა ცდილობს შვილები თბილად და მძღარი ჰყავდეს. რამდენ რამეს გაცმევთ დედა, როცა სკოლაში მოდიხართ, აბა კარგად გაიხსენეთ. ფისოც ასევე მოიქცა. ახლა ზამთარია, იცოდა, რომ მისი კნუტებისათვის საჭირო იყო სათბურები და მიუგნია კიდევ, — გამოეჭამა თავის ფისოს დასახლისი.

— რა პატარები არიან, რა ლამაზები! მაგრამ, დედა მარო, ეს რა არის, ბრძენი დაბადებულან, ვაი საწყლები! — გაისმა აქ-იქ ხმები.

— არა, ჩემო კარგებო, ფისუნები ასე იბადებიან, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ აეხილებათ ხოლმე თვალები, — უბასუხა დაინტერესებულ ბავშვებს მასწავლებელმა.

ფისო ლოკავდა, ასუფთავებდა თავის კნუტებს და ხრუტუნებდა. თავადერილი კნუტები ძუძუს ეძებდნენ, კნაოდნენ.



რეზომ მოინდომა ერთერთ მათგანს დახმარებოდა და ხელი წაატანა, მაგრამ დაისახლისმა გააშვებინა. — ხელის ხლებმა არ შეიძლება, კნუტი კარგად აღარ იზრდება, — აუხსნა მან ბავშვებს.

ახალი საზრუნავი მოემატათ ოქტომბრელებს: ფისო თავისი წვრილ-შვილით. ისინი შეიქნენ დღეიდან ოქტომბრელების ყურადღების მთავარი საგანი. მოჰქონდათ ხორცის ნარჩენები, ტკბილი ნამცხვრები, სითბოსათვის შალის ნაქრები, ბამბა და სხვა. ხშირად იცინოდნენ, როცა ფისოს ოინებს მოიგონებდნენ.

ეს დღე განსაკუთრებული სიხარულის დღე იყო დალისათვის, არასოდეს არ ავიწყდებოდა და ხშირად უამბობდა თავის ეზოში მცხოვრებ ბავშვებს, თუ როგორ შეერქვა საბავშვო ბაღის საყვარელ მეგობარს „ქურდი ფისო“.

თამარ ოყრეშიძე



1. კარგად მოიხსნება.

ერთხელ დედამ ქეთოს ქათამი ვაატანა შვებობლისას დასაკლავად, ვინაიდან მამაკაცები შინ არ იყვნენ.*)

ქეთოს საუბედუროდ, არც შვებობლისას აღმოჩნდა ვინმე სახლში. გოგონა უკან წამოვიდა.

ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ მას ქათმის ხორცი არ დაეკარგა.

უცებ მოისაზრა: მაინცადამაინც კაცმა უნდა დაკლას? კარგი, ჩავიცვამ ტიტყოს ძველ შარვალსა და ხალათს... და კაცი არ ვიქნები?!

ქეთომ ბევრი აღარ დააყოვნა, ფეხშეკრული ქათამი აივანზე დასვა, თითონ შეკუნცულდა დედის ჩუმად ოთახში, ჩაიცვა შარვალი და ხალათი, მოძებნა სუფრის დანა, ხელში ქათამი აიყვანა და ჩამოვიდა ძირს. ამოეფარა კედელს და დიდის გაქირვებით წასჭრა ქათამს თავი.

დაკლული ქათამი აფართხალდა და კარგა მანძილი გაიარა ფართხალით.

ქეთოს დედა სამზარეულოში იყო.

მან ფართხალს ყური მოჰკრა. ვარეთ გამოეყარა, ქორი ეგონა, მაგრამ რას ხედავს: ქეთინო ტიტყოს ტანსაცმელშია და ხელში სისხლიანი დანა უჭირავს.

დედა მივარდა თავის გოგონას და დაუწყო ტუქსვა, თან ბრაზობდა და თან ეციებოდა.

რა უნდა ექნა, ქათამი უკვე დაკლული იყო, აიღო და შეიტანა სამზარეულოში.

დედისაგან დატუქსული ქეთო მთელი დღე აივანზე იჯდა და პატარა ლიას ართობდა სათამაშოებით.

*) ჩვენში წინათ იყო (ზოგიერთ ადგილას ახლაც არის) ასეთი ჩვეულება, რომ დედა-კაცი ქათამს არ დაკლავდა, ვინაიდან ეს ცოდად ეთვლებოდა მას.

2. ძეთო დედის ტანსაცმელში.

ქეთო და ლია აივანზე ისხდნენ და სტუმრობანას თამაშობდნენ. კარგახანი ითამაშეს. მობებრდათ გართობა. ქეთომ სათამაშოები ჩაიკრია და და შეინახა. ფიქრობდა ვასართობად გამოეგონა ახალი რამე. უცხად მან მოიფიქრა რაღაც და სიცილ-კისკისით შეირბინა ოთახში. გამოაღო განჯინა, გადმოაღაღა დედის საგარეო ტანსაცმელი და გამოიტანა აივანზე. ცანსაღი ტანსაცმელი პეთოსათვის არ იყო შესაბამისი, შეტადრე კაბა, მან თოკი მოიშველა, კაბა ზევით ასწია და თოკი წელზე მოიჭირა.

ქეთომ თავსახური ვერ მოიწყო. არც აქ დალონდა. გამოიტანა მამის ბუხრის ქუდი და მოიკდო თავზე.

გოგონა ასე უცნაურად ჩაცმული გასცილდა ეზოს და ესტუმრა ძია კიმოტეს. მაგრამ დახეთ მის უბედურებას: ძაღლი ვერ იცნო და შეუტია. ქეთომ ძაღლი ვერ მოიგვრია. გამოვარდა ბიცოლა კეკე ძაღლი მოაშორა. მაგრამ ძაღლს კბილებში შერჩა კაბის ნაჭერი.



ბიცოლა კეკე სიცილს ვერ იჭერდა. მის წინ იდგა უცნაურად მორთული ქეთო.

ქეთო კი ღრიალებდა: იცოდა, რაც მოელოდა. შავდღეს დააყრიდა დედაშისი.

ბიცოლა კეკემ გაახდევინა ტანსაცმელი, შეუხვია და გაისტუმრა სახლისაკენ.

ქეთო დალონებული მიდიოდა და თან ფიქრობდა, როგორ ასცილებოდა დედის რისხვას.

3. ძეთო და ნიშნი.

კარგახანი გავიდა. დატუქსული გოგონა ვერ ბედავდა ისეთი რამეების გაკეთებას, რაც მან წინათ ჩაიდინა. მაგრამ დღე ისე არ გავიდა, რომ რაღაც ეშმაკური არ გაეკეთებია.

დედა ქეთოს ამზადებდა სკოლაში შესაყვანად. მისთვის მზად ჰქონდა ახალი კაბა, ფეხსაცმელი და ჩანთა.

ქეთონი ძალიან მახეილოვანებიანი ბავშვი იყო. მართალია, სკოლაში წილს უნდა შეეყვანათ, მაგრამ კითხვა უკვე იცოდა და ათის ფარგალში ანგარიშიც არ ეშლებოდა. ბევრ ლექსსაც ზეპირად ამბობდა.

სწავლის დაწყების წინაღობებში დედამ ქეთოს ახალი კაბა ჩააცვა. ქეთოსაც ეს უნდოდა, დაკრა ფეხი და ამაყად გაერია მეზობლის ბავშვებთან. აქ იყვნენ ქალიქელი ბავშვები, როკლებიც ჯერ არ წასულიყვნენ. ში, რადგან სწავლის დაწყებამდის კიდევ შეიდი დღე იყო. ბავშვებს კატობანა ვაგმართათ მია კიმოთეს ეზოში. ქეთინოს დანახვაზე ბავშვებმა სიცილი ატეხეს: ბიკოლა ევროსინე მოსულა, ევროსინე მოსულა...ა...ა...

კაბაში ხელები ჩაველეს და დაუწყეს ქაჩვა.

ქეთინო ახლა მიხვდა, რომ ეს დაცინვა ამ ფორიალა კაბის ბრალი იყო. წამოვიდა სახლში დაფიქრებული. სკოლაში სულ ვერ წავა, თუ კი ასე სიცილი დაუწყო ყველამ.



—გრძელი კაბა რად მინდოდა, მართლა ევროსინეს ვგავარ ამ კაბაში! დედას ვერაფერს ეტყოდა, რომ კაბა დაემოკლებოდა, ისევ თვითონ უნდა გამხდარიყო რამეს შემოეჭრა? არა, ამაზე დედა გაუჯავრდებოდა. ქეთომ მოისაზრა: ნემსი და მისი ჯანი! შემოკვეცავს კაბას. დედა თუ გაუჯავრდება, ისევ ჩამოუშვებს და ის იქნება.

ქეთომ აიღო ნემსი და ძაფი. შეუდგა საქმეს.

ორი საათის შემდეგ უკვე მოკლე კაბა ეცვა. ფანჯარასთან სკამი მიიღვა და მინაში დაიწყო ცქერა, უნდოდა გაეგო, როგორ აღვა კაბა ტანზე. ოთახში კი დედის ხაართი ჯერ ვერ ბედავდა შესვლას. მაგრამ დედა რაზე გაუჯავრდებოდა, ხომ არ შემოუჭრია კაბა, შემოკვეცა და თუ უნდა ისევ ჩამოუშვებს. აიცილინა ქეთომ ბავშვების დაცინვა, დედისაგან კი აღერის და მოფერება მიიღო.

მამია გიგაური



მჭიერი

მაძღარი



(არაკი)

„მაძღარს მჭიერიც მაძღარი ეგონაო“
ხალხური.

ერთსა კაცსა ბლისკინელსა
შემოესწრო ცუდი ხანი:
ერთს წელიწადს გაუცუდდა
მთელი წლისა მოსავალი...
შიმშილობდა საცოდავი,
განიცდიდა მწუხარებას,
დაეკარგა იმედები,
ძველი ხმა და მქუხარება.
და შიმშილმა ერთ დღეს ისე
გაახელა, გააწამა,
რომ საწყალმა თავის მკლავზე
კბილით ხორცი მოიკამა...
და დაერთო ქირზე ქირი:
ააკვილა ტკივილებმა,
ვერ გაჩერდა და მოკურცხლა

სხვა სოფლისკენ ბლისკინელმა.
გზად შემოხვდა დიაკვანი,
შეეკითხა: „რა გაკვილებს?“
— ეჭ, შიმშილმა ჩემივე ხორცი
შეაქამა ჩემსავე კბილებს!“
— უჰ, სწყალო! მაგ ტკივილებს
მე მოგიჩინე, შენ თუ გინდა.
— როგორ არა, მომეხმარე,
დამება გულთით მინდა.
— მაშ გიშველი, მხოლოდ ქირად
მომეც ღომი, მომეც მკაღი.
— დალოცვილო, ეს რომ მქონდეს,
განა ჩემს ხორცს მოვიკამდი?!

გ. ლომთათიძე



ბავშვები აკეთებენ წრეს. თავთავიანთ ადგილს აღნიშნავენ პატარა წრით, რომელშიაც უდევთ დროშა. გამოყოფილია ერთი მოთამაშე ხელმძღვანელად, რომელიც აძლევს ნიშანს: „გამოდით ადგილებიდან“. ყველა მოთამაშე გამორბის და წრეში თამაშობენ, ხტიან. ხელმძღვანელი მიდის, წაშლის ერთერთ წრეს და მალავს ერთერთ დროშას. შემდეგ კვლავ აძლევს ნიშანს: „ადგილებზე“. ყველა ცდილობს დაიჭიროს რომელიმე ადგილი; ვინც უადგილოდ დარჩება, ის არის მძინარა.

კურდღელი გოსტანში

ოთახის კუთხეებში აღნიშნულია კურდღლის სახლები. ოთახის შუა შემოხაზულია წრე. ეს წრე წარმოადგენს ბოსტანს, სადაც ზის დარაჯი და სძინავს. კურდღლები გამოდიან ბინიდან, შედიან ბოსტანში და იქ ჩამჯდარნი ხტუნავენ კურდღლისებურად. გაიღვიძებს დარაჯი და გამოუდგება დასაქერად. დაქერილი კურდღელი ტყვედ ითვლება და ვეღარ იღებს მონაწილეობას თამაშში. თამაში გრძელდება მანამ, სანამ დარაჯი არ დაიქერს ყველა კურდღელს.

კ. დევდარიანი

ქურნალ „ოქტომბრელის“ 1934 წლის ნომრებში მოთამაშებული მასალები*)

დ ე მ ს ე ბ ი

1. ადამია ალიო: ა) ჩენი რაზმი № 11
2. ბილანიშვილი ალ: ა) გაუფრთხილდი № 2 ბ) ასეთია ჩენი გივი № 3, გ) ჩენი რაზმის ელისონი № 5—6 დ) ძია ვოლა № 11.
3. ბერეკაშვილი დ: ა) ოქტომბრელი № 5—6 ბ) ყვავილები № 9 გ) ბელურები ზამთარში № 12.
4. გრიშაშვილი იოსებ: ა) პატარა ოსტატები № 5—6 ბ) გრიშკა ბიჭი № 12.
5. ვაფრინდაშვილი შოთა: ა) ყანისაკენ № 10.
6. გეგეჭკორი ლადო: ა) პირველი მაისი № 5—6 ბ) დაჰვა ხელი № 9.
7. დაფნარელი ნოე: ა) თოვლში № 1.
8. დეკანოზიძე დ: ა) იელის თხოვნა № 10.
9. გბრაღიძე მიხეილი: ა) ბავშვთა კვირეული № 10.

*) ბიბლიოგრაფია გათვალისწინებული იყო მე-12 ნომრისათვის „ტექნიკური მიზნების გამო თავსდება № 1-2-ში.“

12. კაჭახიძე გიორგი: ა) მურას სცევა № 1 ბ) ჯილდო მოგვეცეს № 2 გ) პენ-სიონერი მამა № 3 — 4 დ) ქალაქგარეთ № 5 — 6 გვალვა № 7 — 8 ე) აედარი ვარეუბანში № 9 ზ) ფრთხილად დავაძლავო № 10 თ) კარგი წიგნი № 11.
13. კალანდაძე გიორგი: ა) ბეჯითი ტატო № 1 ბ) გაზაფხულის პირი № 3 — 4 გ) თოვს № 12.
14. კობალაძე ნიკო: ა) ოქტომბერი № 11.
15. ლომთათიძე გიორგი: ა) აქლემი და ვირი № 3 — 4 ბ) მგელი და მელა № 5 — 6 გ) მებაღე და ჩილვადრები № 10.
16. მარკოზაშვილი: ა) მძიმე აშბავი № 7 — 8.
17. შიმჭრალი: ა) ძია შიო № 1.
18. მღვიმელი ქეთო: ა) მაისი № 7 — 8.
19. ნიორაძე ავთანდილი: ა) რა კარგია შემოდგომა № 10 ბ) მღინარეზე № 11
20. უღენტა ხანდრო: ა) შემოდგომა № 9 ბ) თვითმფრინავების გაფრენა № 10 გ) ზეიმის დროს № 11 დ) აღის რაზმი № 12.
21. სამადაშვილი შაქრო: ა) გოგო უნდა ამისთანა № 1 ბ) ჩენი ძროხა № 10.
22. ხაჩინოელი ალ: ა) ზოხუც კოლმეურნის სიმღერა № 9 ბ) გამოცანა № 11
23. შველიძე ნიკო: ა) ვიწრომებთ ძმურად № 1 ბ) გაზაფხული № 3 — 4 გ) მინდორში № 5 — 6 დ) რეზო სოფლად № 7 — 8 ე) ოთარის სიხარული № 9 ე) პირველი თოვლი № 12.
24. შოველი ვანო: ა) დამკვრელი გოგონა სოფელში № 9.
25. ცომაია მ: ა) ხამთარი № 12.
26. წერეთელი დიმიტრი: ა) ჩვენს სოფელში № 1.
27. ჭარელიშვილი იოსებ: ა) შერიგება № 7 — 8 ბ) გურამის თხოვნა № 10 გ) მელას № 11.
28. ჯავახიშვილი ციალა: ა) პატარა გვირს № 10.

მოსტრობები

1. ანდანი: ა) რომელ საბავშვო წიგნზე ვისაუბროთ (საუბარი) № 10.
2. ზაგრატი: ა) წერილი ოთიკოს № 11.
3. ბენდუქიძე ნ: ა) ძია შიო რაჭაში № 1.
4. გოცირიძე აკ: ა) ჩაბუტკუნებული ბატონები № 7 — 8.
5. გეგუქორი ლადო: ა) თედოს ნაამბობი № 3 — 4 ბ) ბებუას გამხარებლები № 9 გ) გამოჩენილი მებაღე № 10.
6. თაბუკაშვილი შალვა: ა) ლა ჩემი ბლალაია № 3 — 4.
7. თელაია: ა) საიდუმლო კარავი № 1.
8. თ. ა.: ა) შიო მღვიმელი № 1.
9. კალანდაძე გიორგი: ა) ჯიმშერს აენო № 2 ბ) მამუკას ტუთილები № 5 — 6 გ) გულიკოს ბარათი № 7 — 8 დ) დედაფუტკარი და ვაპატიმრეთ № 10.
10. კაჭახიძე გიორგი: ა) ჩვენც გამოვეთხოვეთ ლენინს № 1.
11. ლაცაბიძე იოსებ: ა) პატარა გარი № 10.
12. მოღვბაძე თამარ: ა) ალექო მოწაფეები № 5 — 6.
13. მარგხი: ა) მონადირეები № 9.



10. თაბუკაშვილი ლეილა: ა) რეზო № 7 — 8.
11. იანი: ა) თებერვლის ზეიმი № 2 ბ) ფრინველის დღე № 3 — 4 გ) პეტრეწულელი № 5 — 6.
14. თყრეშიძე თამარი: ა) მედიკოს მელა № 2 ბ) ფუტკრების იერიში № 11.
15. პეტრიაშვილი ვ: ა) ლეო და ქალაქი № 12.
16. საქარელი ღ. ა) პაი, შე ვერანაე, შენა № 3 — 4.
17. საათაშვილი ქეთო ა) კურძინის ბრალია № 9.
18. სიხარულიძე ქსენია: ა) ალექოს მოწაფეები № 10 ბ) მაროს ნადი № 12
- 19: ტშენელაშვილი ნინო: ა) მერცხალი პიონერი № 5 — 6 ბ) მურიკა და ციცუნია № 7 — 8 გ) ბროლია № 10.
20. ტატინა: ა) სამწუხარო ამბავი № 12.
21. შამათავა დავითი: ა) კურდღლები № 1 ბ) ელექტროშაველი № 2.
22. ჩადუნელი ლეო: ა) ჩვენი მხატვარი (წერილი) № 11.
23. ჩხეიძე ბორის: ა) შურთბი № 1 ბ) მეგობრები № 3 — 4 გ) მამიკო № 9.
24. ცქვიტი: ა) ქალაღის ნაამბობი № 2 ბ) ნელის ჩიტუნია № 7.—8 გ) ლერლას ექსკურსია № 9 დ) პატარა მილიციონერი № 12.
25. კიკინაძე ლავრენტი: ა) თოვლი № 1 ბ) ბელურბზე მონადირენი № 2 გ) სკოლისკენ № 5 — 6 დ) ლუტუნები № 7—8 ე) გოგილას თითები № 9, № 10, № 11 ვ) ჩემი ბრალია. № 12.


თარგმანები

1. გაფრინდაშვილი შოთა: ა) მკონარი № 2 ბ) მამაცი კურდღელი № 11 გ) ჯანმრთელობის საგუშავო № 12.
2. ელი: ა) მიტოს უნდა დიდი იყოს № 2 ბ) ჯიმ კროუ № 5 — 6.
3. თაბუკაშვილი შალვა: ა) უცნაური მუზეუმი № 1 ბ) ფრინველი—ცხენი № 1 გ) მებანძრე კიანკველები, წინამძღოლი კოდოლა და კატის შვილობილი № 1 დ) ვასკა ავიატორი № 5 — 6 ე) ხუთი ერთი პარკიდან № 7 — 8 ვ) სიმართლის მოყვარული და გამოკერი № 9 ზ) კრიკინა და ლოკოკინა № 11 თ) პატარა გმირები № 11 ი) გცაოცარი ამბავი.
4. კ-სი ა) როგორ გადაარჩინა სპილომ თავისი პატრონი № 9.
5. კანი — ამანათი № 11.
6. პინ — იცი? № 7 — 8.
7. რ-სი — აბა თუ იცი? № 9.
8. ხარსი — როგორ წააყვანინა ნუცამ ვირს თავი ქალაქში № 7—8.


ნ მ ე დ ა უ ნ ა რ ე ლ ს

ადამცნია საპირობებს თქვენს მისამართს

ფურნალ „ოქტომბრელის“ რედაქცია.



ლაბირინტი



ამ ლაბირინტში მოთავსებულ სახლში. შესვლა შეიძლება მხოლოდ ერთ წერტილიდან. სცადეთ ვინ სწრაფად შევა ამ ლაბირინტში.

კლ. თემზაძე

ამოცანა—გასართობი

ა და ბ საღვურებიდან ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით ერთ ღროულად გამოვიდა ორი მატარებელი. რკინისგზა ერთლიანდაგია-ნია. თითოეული მატარებელი შედგება ოცი ვაგონისა და ერთი ორთქლ-მეჯალისაგან. შუა გზაზე არის ჩიხი, სადაც შეიძლება მხოლოდ ათი ვაგონის მოთავსება თავისი ორთქლმავლით, სხვა ერთმანეთისაგან შესავლელი გზები მატარებლებს არ გააჩნიათ. მოწინააღმდეგე მატარებელში მგზავრების გადასმა და მატარებლის უკანვე დაბრუნებაც არ შეიძლება. ცოტა ხნის მოფიქრების შემდეგ შემანქანებმა გამოიყენეს ჩიხი, სადაც მხოლოდ ათი ვაგონი თავსდება და ამნაირად შესაძლებელი გახდა მატარებლებს განეგრძოთ გზა თავიანთი მიმართულებით. როგორ მოახერხეს ეს შემანქანებმა? პირობა ისეთია, რომ ორთქლმეჯალი მატარებლებს წინ უბიათ ჩვეულებრივად და ასე განაგრძობენ გზას.

9360 75 333.

5

186



საქართველოს
ხელნაწილების
გამომცემი



ОКТОМБРЕЛИ

Г о с и з д а т Г р у з и и
ЮНОШ-ДЕТСЕКТОР

Т и ф л и с 1935 г.